ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01181503262**

თარიღი: **30.05.2018**

ადრესატი:
თეონა ახალაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური - III-IV კლასის შენობა–ნაგებობების სანებართვო განყოფილება - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)
მოვალეობის შემსრულებელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 24 მაისის #60-01181442209 წერილი და თანდართული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ, მოქალაქე ნაზიბროლა მაღრაძის მომართვის საფუძველზე, შპს ,,მგს-ის წარმომადგენლობას'' კუთვნილ ტერიტორიაზე (ქ. თბილისი, იუმაშევის ჩიხი #51-ის მიმდებარედ ს.კ. #01.19.15.003.104) საამქროს მშენებლობის მიზნით, სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცების ეტაპზე, კომპეტენციის ფარგლებში, სამსახურის პოზიციის დაფიქსირებას მწვანე ნარგავებთან დაკავშირებით.

გაცნობებთ, რომ საექსპერტო დასკვნის თანახმად კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე ერთად განთავსებულია 35 ერთეული წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარე. სამსახური გასცემს დადებით რეკომენდაციას მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დამტკიცებასთან დაკავშირებით, ტერიტორიაზე არსებული ზრდასრული წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეების სრულად შენარჩუნების შემთხვევაში. რაც შეეხება 6 ერთეული ხილ-კენკროვანი ხის მოჭრას/გადარგვას (3 ძირი ვაზი და 1 ძირი ბროწეული 12სმ-ზე ნაკლები დიამეტრის და 1 ძირი ბროწეული 12სმ-ზე მეტი დიამეტრის) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის #17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესი“-ს 25-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე ნებართვის გაცემას არ საჭიროებს.

აქვე გაცნობებთ, რომ მშენებლობის პროცესში წარმოქმნილი ნარჩენების მართვა უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონის ,,ნარჩენების მართვის კოდექსის“ შესაბამისად. იმ შემთხვევაში თუ წარმოქმნილი ინერტული ნარჩენები გამოიყენება ამოვსების ოპერაციებისთვის ან მშენებლობის მიზნებისთვის, საჭიროა მომზადდეს პროექტი, რომელიც უნდა შეთანხმდეს შესაბამის უწყებასთან (ნარჩენების მართვის კოდექსი 21-ე მუხლის მე-5^1 პუნქტი).

პატივისცემით,

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური -
სატყეო პოლიტიკის განყოფილება -
მეორადი სტრუქტურული ერთეულის
ხელმძღვანელი (განყოფილების უფროსი)

ნიკოლოზ ბურდული